ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6725481

ნომერი: AR1897447

თარიღი : 10.05.2022

გაცემის თარიღი : 24.10.2023

გაცნობის თარიღი : 24.10.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის მე-4 მ/რ , კორპუსი N36 -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კლიმენტ წულაია პ/ნ 29001001415
- მედეა ჩახავას 9 ბინა 21

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. ბი ენდ ჯი ბიზნეს ჯგუფი კოდი: 405233242

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3244785 (განკარგულებაN116. 28/04/2017)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 4.05.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თემურ მალანია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კლიმენტ წულაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 29001001415

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1957.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 645.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 6232.9
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3187.8
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 512.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 838.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 745.8
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 14.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 935.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 6909.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 6125.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 784.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 34.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 31.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 645.8/4845=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4799/1957=2.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 635/1957=0.3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01... გენგეგმაზე შეთანხმებული სატრანსპორტო სქემის გათვალისწინებით დაიტანეთ საავტომობილო შესასვლელ-გამოსასვლელი, ტროტუარი და ზებრა გადასასვლელი.

02... ავტოსადგომების გეგმაზე დანომრეთ ავტოსადგომები.

ვინაიდან დაკავებული იატაკი სცდება 23 მეტრს, კიბის უჯრედებში მოეწყოს ტამბურები ან დაწნევის სისტემის მოწყობის შემთხვევაში მთლიანი შენობა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემით. აღნიშნული დაკორექტირდეს და განიმარტოს ასევე 41 დადგენილებასთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასებაში.

03... წარმოადგინეთ ასევე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გაცემული თანხმობა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მოწყობასთან დაკავშირებით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 30/06/2023 წლის 16-01231811809 წერილის გათვალისწინებით ტროტუარის ნაწილი, რომელიც მდებარეობს საპროექტო ნაკვეთის

საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთოს საჯარო სერვიტუტით. სერვიტუტის არეალის განსაზღვრა მოხდება ტროტუარის დასაწყისიდან ტროტუარის დასასრულამდე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზის ჩათვლით.

04... სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა სსიპ- ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში. წერილის ნომერი: 60-01232973007, ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ კვლევის დასრულების შემდგომ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.